

**პარონიმიის ერთი შემთხვევა ტერმინოლოგიაში
(კრიზისული – კრიტიკული)**

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პარონიმიის, როგორც ენობრივი მოვლენის, შესწავლა შედარებით გვიან დაიწყო. ამას სხვადასხვა ახსნა ეძებნება.

პარონიმები განმარტებულია, როგორც ბგერობრივად მსგავსი სიტყვები. თვით მოვლენა პარონიმია კი გულისხმობს სხვადასხვა მნიშვნელობის, თუმცა მსგავსი ბგერითი შედგენილობის სიტყვების, ე. ი. პარონიმების აღრევის შემთხვევებს, როდესაც ისინი არამართებულად ჩაენაცვლებიან ერთმანეთს.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია ის მიზეზები, რომლებიც პარონიმიის საფუძველი ხდება. მიიჩნევა, რომ პარონიმიასთან საქმე მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც ისინი არასწორად ჩაენაცვლებიან ერთმანეთს. პარონიმებად არ შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად, *დინამიური* და *დინამიკური*, *ფანტასტიური* და *ფანტასტიკური*, *სინთეტიური* და *სინთეტიკური*, *ელასტიური* და *ელასტიკური*, *ფაქტიური* და *ფაქტობრივი*, *მისტიური* და *მისტკური* და სხვ. ესენი ის დუბლეტებია, რომელთაგან ერთ-ერთი არასწორი ფორმაა. მეორე მხრივ, ეკონომიური და ეკონომიკური, დიალექტური და დიალექტიკური, ცივილური და ცივილიზებული და სხვ. ის ფორმებია, რომლებსაც თავ-თავიანთი მნიშვნელობები აქვთ და მათი აღრევა პარონიმია.

ცნობილია, რომ პარონიმიის ერთ-ერთ მიზეზად სიტყვის მნიშვნელობის არცოდნას მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე, ნასესხები ფორმების გამოყენებისას უფრო ხშირია პარონიმიის შემთხვევები.

პარონიმია უფრო ინტენსიურია ზეპირ მეტყველებაში, თუმცა ზოგადად ეს მოვლენა ორივე სახის მეტყველებაში დასტურდება – ზეპირშიც და წერიტშიც.

ტერმინოლოგიაში, რომელიც ტერმინთა ნორმატიულ მოდელს ქმნის, დაუშვებელია ყოველგვარი არამართებული ფორმის გამოყენება. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია მი-

მართება ტერმინსა და ცნებას შორის. არის შემთხვევები, როდესაც ეს მიმართება ირღვევა. ასეთი დაშორიშორება ტერმინსა და ცნებას შორის შეეხება როგორც ქართულ ტერმინებს, ისე უცხო წარმომავლობისას. სწორედ ამგვარი პრობლემა იჩენს თავს პარონიმის შემთხვევაშიც: როდესაც ბგერობრივად მსგავსი სიტყვები უმართებულოდ ჩაენაცვლებიან ერთმანეთს, ბუნებრივია, ირღვევა მიმართება ტერმინსა და ცნებას შორის, რაც დაუშვებელია.

ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში დაცულია ის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს ტერმინსა და ცნებას შორის ზუსტი მიმართების გამომხატველი შესატყვისის დამებნას. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ტერმინსა და ცნებას შორის არამართებული მიმართებებიც დასტურდება. სწორედ ამგვარმა სირთულემ იჩინა თავი ტერმინოლოგიაში პარონიმების – *კრიტიკული* – *სა* და *კრიზისული* – გამოყენებისას. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის“ რვატომულის IV ტომშიც (1955 წ.) და ერთტომეულშიც (1986 წ.) **კრიტიკულის** და **კრიზისულის** სინონიმური გამოყენების შემთხვევებიცაა აღნიშნული.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური არსებითი სახელებისაგან – კრიტიკა და კრიზისი – ნაწარმოები ზედსართავების – *კრიზისული* და *კრიტიკული* – მნიშვნელობები თანამედროვე ქართულში გამიჯნულია, მაინც ხდება მათი არასწორად ჩანაცვლება.

კრიტიკული და *კრიზისული* ზუსტად არის განმარტებული „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ ბოლო გამოცემაში (1989 წ.). ისინი სხვადასხვა არსებითი სახელებისაგან (კრიზისი და კრიტიკა) მომდინარეობენ და, შესაბამისად, განსხვავებულ შინაარსს გადმოსცემენ. *კრიზისული* ნიშნავს: 1. კრიზისის, გარდატეხის მდგომარეობაში მყოფი, არსებული. მაგ., *კრიზისული ასაკი*; 2. ძალიან ძნელი, მძიმე, გამწვავებული, სახიფათო. მაგ., *კრიზისული მომენტი*. *კრიტიკული*¹ ნიშნავს: 1. კრიტიკის შემცველი, კრიტიკის ხასიათისა. *კრიტიკული*² უმართებულოა – იხ. კრიზისული.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ ამ ზედსართავების გამოყენების ნორმა დადგენილი. შენიშნულია, რომ *კრიტიკულის* მეორე მნიშვნელობით გამოყენება არამართებულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზედსართავ *კრიტიკულის* მნიშვნელობა არ შეიძლება

იყოს გარდატეხის მდგომარეობაში მყოფი ან ძნელი, მძიმე. *კრიტიკული* ნიშნავს მხოლოდ კრიტიკის შემცველს.

ქართულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში (ძველსა თუ ახალში) *კრიზისული* და *კრიტიკული* არამართებულად ჩაენაცვლება ერთმანეთს. ამ ზედსართავების აღრევა განაპირობა რუსულმა ზედსართავმა *критический*, რომელსაც ქართულად შეესატყვისება ზოგჯერ *კრიტიკული*, ზოგჯერ კი – *კრიზისული*.

ცნობილია, რომ რუსულში ის ნასესხები სიტყვები, რომლებიც *-зис* სუფიქსიანია, ზედსართავად გაფორმებისას დაირთავს *-тический* სუფიქსს (ფონეტიკურ ნიადაგზე): *кризис*→*критический*, *генезис*→*генетический*. რუსულში *критический* ომონიმური მნიშვნელობისაა, ე. ი. ნიშნავს *критический*-საც და *кризисный*-საც. რუსულში *кризисный* ფორმაც დასტურდება, მაგრამ უპირატესობა ენიჭება *критический*-ს.

ქართულ ენაში უცხო სიტყვათა ადაპტაციის საკითხები დამუშავებულია – მრავალი ნორმა დაზუსტებული და დადგენილია. უცხო წარმომავლობის სახელებისაგან -ურ (-ულ) სუფიქსით გაზედსართავების პროცესი მეტად აქტიურია. ეს ფორმა ზედსართავების გამომხატველია. არსებობს ნორმა, რომლის მიხედვითაც -ურ სუფიქსი დაერთვის უცხო წარმომავლობის არსებით სახელს.

ამგვარად, *კრიზისი* და *კრიტიკა* ნასესხები არსებითი სახელებია, რომლებსაგანაც ზედსართავებია გაფორმებული: *კრიზისული* და *კრიტიკული*. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ *критический* რუსულში გულისხმობს *კრიტიკულსაც* და *კრიზისულსაც*, ამა თუ იმ დარგის მრავალი სპეციალისტისათვის ქართულში ამ ზედსართავთა აღრევის მიზეზი გახდა. ბუნებრივია, ეს ორივე ზედსართავი ცალ-ცალკე თავ-თავის ადგილას სწორი ფორმაა, მათ სწორად გამოყენებას ტერმინოლოგიური შესიტყვება განაპირობებს. ერთი მხრივ, უნდა იყოს: *კრიტიკული მიმოხილვა*, *კრიტიკული მიდგომა*, *კრიტიკული დამოკიდებულება*, *კრიტიკული შეფასება...* ხოლო მეორე მხრივ – *კრიზისული მდგომარეობა*, *კრიზისული წერტილი*.

ტექნიკაში, მედიცინასა და ზოგ სხვა დარგში, როდესაც მსჯელობაა იმ პროცესზე, რომელიც გულისხმობს კრიზისულ სიტუაციას, რომლის დროსაც ხდება გარდატეხა, ან შეიძლება იყოს მძიმე, გარდამავალი პერიოდი, მისი გამომხატველი შეუძ-

ლებელია იყოს ზედსართავი კრიტიკული. ტექნიკურ ტერმინოლოგიებში ამ მნიშვნელობის გამოსახატავად დასტურდება ზედსართავი კრიზისული. ასევეა ენერგეტიკის ტერმინოლოგიაშიც, მაგალითად, კრიზისული კვეთი, კრიზისული არე, კრიზისული ზონა, კრიზისული მდგომარეობა, კრიზისული რადიუსი, კრიზისული ტემპერატურა. მაგრამ მეტალურგიის, ქიმიისა და ნავთობის ტერმინოლოგიებში ეს ცნება ყველა შესიტყვებაში ზედსართავი კრიტიკულით გამოიხატა. მაგალითად: კრიტიკული ტემპერატურა, კრიტიკული წერტილი, კრიტიკული დეფორმაცია, კრიტიკული დიამეტრი, კრიტიკული სიმკვრივე, კრიტიკული წნევა, და ა. შ.

ამრიგად, ერთი და იგივე შინაარსი არცთუ იშვიათად სხვადასხვა ზედსართავი სახელით არის გადმოცემული. ბუნებრივია, ყველგან უნდა იყოს ზედსართავი კრიზისული, როცა გარდატეხის, მძიმე, გარდამავალი პერიოდი იგულისხმება. მაგრამ ზოგჯერ დარგის სპეციალისტები უგულბელებოფენ ტერმინოლოგიების რჩევას და უპირატესობას ანიჭებენ ზედსართავ კრიტიკულს, რომელიც ვერ გამოხატავს საჭირო ცნებას. მაგალითად, დემოგრაფიისა და ეკონომიკის ტერმინოლოგიის შემდგენლები შესავალში შენიშნავენ: „ნაშრომში «*критический момент переписи населения*» მოცემული გვაქვს „*მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი*“. დაბეჯითებით გვირჩიეს, დაგვეწერა „*მოსახლეობის აღწერის კრიზისული მომენტი*“, რაც ვერ გავითვალისწინეთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „*კრიზისული მომენტი*“ ამ შემთხვევაში „*კრიტიკული მომენტის*“ სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის, მნიშვნელობის მატარებელია, თანაც რუსულ დემოგრაფიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინები «*критический момент*», «*критическое время*» ქართული შესიტყვებები ვერანაირად ვერ იქნება „*კრიზისული მომენტი*“, „*კრიზისული დრო*“.

როგორც ჩანს, დარგის სპეციალისტებისათვის ზედსართავ კრიზისულის ჩანაცვლება კრიტიკულით რუსული ენის ზედსართავმა *критический*-მ განაპირობა, რომელსაც, როგორც, უკვე აღვნიშნეთ, ქართულში ორი სხვადასხვა სემანტიკის ზედსართავი შეესატყვისება: კრიზისული და კრიტიკული. ამ ზედსართავების მართებულ სემანტიკურ გამიჯვნას მხარს უჭერს ქართული სა-

ბჭოთა ენციკლოპედია შესიტყვებებით: *კრიზისული მასა*, *კრიზისული მდგომარეობა*, *კრიზისული მოვლენები*, *კრიზისული მოცულობა*, *კრიზისული წერტილი*, *კრიზისული წნევა*.

ამრიგად, ექვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ უცხო წარმომავლობის ზედსართავები *კრიზისული* და *კრიტიკული* პარონიმებია და ქართულ ტერმინოლოგიაში მათი არამართებულად ჩანაცვლება შესიტყვებაში პარონომიის მიზეზი ხდება. აუცილებელია, ამ პარონიმების დისტრიბუციის დადგენა, რაც უნდა მიიღოს და გაითვალისწინოს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტმა. ამ ზედსართავების განაწილება შესიტყვებაში უნდა ეფუძნებოდეს ქართულ ტერმინოლოგიაში არსებულ ნორმას, რაც გულისხმობს უცხო წარმომავლობის ზედსართავის გაფორმებას სათანადო არსებითი სახელისაგან. ზედსართავი სახელები *კრიტიკული* და *კრიზისული* სხვადასხვა სახელებისაგან მომდინარეობს და, ბუნებრივია, სემანტიკურადაც მათ უკავშირდება: კრიზისი → კრიზისული, კრიტიკა → კრიტიკული.

ლიტერატურა

ღვინაძე 1981 – თ. ღვინაძე, „პარონიმია თანამედროვე ქართულ სიტყვახმარებაში“, ქსკს, IV, თბილისი.

ტექნ. ტერმ. 1977 – ტექნიკური ტერმინოლოგია, თბილისი.

ქსე 1979 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IV, თბილისი.

მეტალ. ტერმ. 1999 – მეტალურგიის ტერმინოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ენერგ. ლექს. 2000 – ინგლისურ-რუსულ-ქართული ენერგეტიკული ლექსიკონი, თბილისი.

ეკონ. და დემოგრ. ტერმ. 2001 – ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია, თბილისი.

ქიმ. ლექს. 2004 – ქიმიური ლექსიკონი, თბილისი.

ნავთ. გაზ. ლექს. 2005 – ნავთობისა და გაზის ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.